ცნობის ფურცელი

№ 2500 ოთხშაბათი, 21 მაისი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2500

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე; კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

რედაქციისაგან.

ვაცნობებთ ხელის მომწერთ, რომ ვისაც ჟურნალ-გაზეთის დასაკვეთათ შემოტანილი აქვს მარტო „ცნობის ფურცლისთვის“ 3 მან. და 5 ან 6 მან. „მოამბე“-„ცნობის ფურცლისთვის“ დასამატი ფული უნდა გამოგზავნონ მაისის გასვლამდის, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოცემანი 1-ლ თიბათვიდან აღარ გაეგზავნებათ.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

19 მაისი

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის დეპეშა მისს უდიდებულესობას 18 მაისს: „უქვეშევრდომილესად ვაუწყებ თქვენს უდიდებულესობას კონტრ-ადმირალების ვიტგეფტისა და გრიგოროვიჩის დღეს მიღებულ მოხსენებებს: 15 მაისამდე ვიპოვნეთ და ავაფეთქეთ რეიდზე მრავალი ნაღმი, იაპონელების მიერ ჩაწყობილი. როგორცა სჩანს, იაპონელები ეხლა ნავთსადგურის შესაკვრელად ბრანდერების ნაცვლად ნაღმებსა ხმარობენ. ამ ნაღმებს სავაჭრო გემებიდან აწყობენ“.

გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის დეპეშა მისს უდიდებულესობას 18 მაისს: „ფინხუანჩენისკენ სიწყნარეა. სიუიანი იაპონელებს არ დაუჭერიათ. ქტყოპა, იაპონიის რაზმები მდინარეების სეძიხესა და სალიძაიპუძას ხეობებიდან თან-და-თან აღმოსავლეთისკენ მიდიან. 17 მაისს იაპონელთა ორი როტა და 30 დრაგუნი დაგუშანის გზით უულასისკენ გაემართა: იაპონელები სცდილობდნენ მარცხენა მხრიდან მოევლოთ ჩვენ სადარაჯოებისა და მზვერავ რაზმებისთვის. მაგრამ ყარაულებმა დროზე გაიგეს ეს განზრახვა იაპონელებისა. ასტყდა სროლა, რომლის დროსაც დაიჭრა ერთი ყაზახი და ერთი ცხენი. იაპონელთა ის რაზმი, რომელთანაც ჩვენ ცხენოსნებს შეტაკება ჰქონდათ 17 მაისს, შეჩერდა ვაფანდიანიდან ოთხის ვერსის მანძილზე და შეუდგა ამ ადგილას პოზიციის გამაგრებას. არა სჩანს, რომ იაპონელნი საიმაძიდან ლიაოიანის გზით ფინსუილინის უღელტეხილისკენ მიიწევდნენ.“

გენერალ სახაროვის დეპეშა მთავარ-შტაბს 19 მაისს: „როგორც რაზმის უფროსის მოხსენებიდანა სჩანს, 17 მაისს ვაფანგოუსთან იაპონელებს ზურგის ჯარად ჰყავდათ სამ ბატალიონამდე. ჩვენი ზარალი: მოგვიკლეს 3 და დაგვიჭრეს—32 სალდათი; მოგვიკლეს 17 და დაგვიჭრეს 23 ცხენი. დაიჭრა სოტნიკი ფონ-მეიერი; ჯერ არ უცნობებიათ მეორე დაჭრილ აფიცრის გვარი. იაპონელების ზარალი მეტად თვალ-საჩინოა. მე-13 პოლკის ერთი ესკადრონი თითქმის სრულიად განადგურდა ხელჩართულ შეტაკების დროს; მეორე ესკადრონი-კი, რომელიც პირველის მისაშველებლად მიდიოდა, ძალიან დაზარალდა მოსაზღვრე დარაჯთა და თავისუფალ მებრძოლთა ტყვიისაგან. იაპონელებს წაართვეს 19 ცხენი“.

20 მაისი

ბერლინი. („საკუთარის კორეს.“). რადგან რუსები კორეის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ მხარეში წინ მიდიან, იაპონელები ამ მოკლე ხანში აპირობენ გენზანის დატოვებას.

ბერლინი. („ვოლფ. სააგ.“). აქაურ გაზეთებში დაბეჭდილი იყო ცნობა იმის შესახებ, რომ შორეულ აღმოსავლეთში გაგზავნილ გერმანელ აფიცერს თან მიაქვს გერმანიის იმპერატორის ვრცელი, საკუთარის ხელით დაწერილი წერილი, კუროპატკინის სახელზე მინაწერი. „ნორდდეიჩე ცაიტუნგ“-ი აცხადებს, რომ ეს ყალბი ცნობაა და აფრთხილებს საზოგადოებას, ნუ დაუჯერებთ უცხოელ პრესისაგან გავრცელებულ ხმებს, რადგან ამ პრესსას განუზრახავს, საზოგადოებას ეჭვი აალებინოს გერმანიაზე, ნეიტრალიტეტს არ იცავსო.

ბაქო. ზოგიერთმა ბაქოელმა მაჰმადიანმა ვაჭრებმა განიზრახეს, შემწეობა აღმოეჩინათ დაღესტნის მე-2 პოლკის ჯარის-კაცებისათვის, რომელნიც შორეულ აღმოსავლეთში მიდიან; შეაგროვეს 10,825 მან., გადასცეს გუბერნატორს და სთხოვეს, ეს ფული პოლკის უფროსს ჰუსეინ-ხან-ნახიჩევანსკის გაუგზავნეთო.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

პორტ-არტური. დაღუპულ გემ „პეტროპავლოვსკი“-ის უფროსად ნამყოფს, 1 რანგის კაპიტანს იაკოვლევს პეტერბურგში უთქვამს „ნოვოსტი“-ს თანამშრომლისთვის: ცინჯოუს ყელი მეტად ვიწრო ადგილია და კარგადაცაა გამაგრებული. ეს ყელი ნამდვილი თერმოფილია. გარწმუნებთ, რომ ცინჯოუ მეტად მაგარი, ძნელი ასაღები პოზიციაა. ყველგან ზარბაზნები აწყვია, ყველგან ჩვენი მამაცი ჯარი დგას. იმასაც გეტყვით, რომ ჩვენ ჯარს ბრძოლა სწყურიან. ცინჯოუს სიმაგრეების გარდა, პორტ-არტურამდე სხვა სიმაგრეებიცაა. ეს სიმაგრეები იმ ადგილებშია გამართული, სადაც იაპონელებს ჯარის გადმოყვანა შეუძლიანთ: დალნისა, ტალიენვანსა, გოლუბინაია ბუხტასა და რვა ხომალდის ბუხტაში. თითონ პორტ-არტური ხომ ძალზეა გამაგრებული. ორი რიგი სიმაგრე აქვს: პირველი რიგი პორტ-არტურის წინაა, კარგა მოშორებით; მეორე რიგი პორტ-არტურს აკრავს რგოლივით. ამას გარდა პორტ-არტური თითონაც ბუნებრივი ციხეა. როცა ამ ციხის ადგილის მდებარეობასა და მაგარ პოზიციებს უცქერი, ძალაუნებურად სიამაყესა და სიამოვნებას ჰგრძნობ გულში. დიაღ, პორტ-არტურის ჯარი თავს ისახელებს. იაპონელები მიჰხვდებიან, თუ ჯერ არ მიმხვდარან, რა მედგარ მტერთან აქვთ საქმე. იაპონელებს ამ ციხის ასაღებად სულ მცირედ 150 ათასი ჯარის-კაცი დასჭირდებათ. ჰყავთ ამდენი ჯარი, თუ არა, თქვენც ჩემზე ნაკლებად არ იცით. ამდენი ჯარიც რომ მიიყვანონ, მაინც დიდხანს დასჭირდებათ ლოდინი, სანამ ამბავი მოუვათ „პორტ-არტური აიღესო“. არა მგონია, იაპონელებმა იერიშით აღება გაბედონ. თუ გაჰბედავენ და დიდძალი ხალხიც გაუწყდებათ. ბოლოს საქმე შტიკზე მიდგება და, ხომ იცით, იაპონელები რუსის შტიკს ვერ უძლებენ. ზარბაზნის სროლითაც ვერას გახდებიან, რადგან რუსის არტილერიაც ისეთსავე პასუხს გასცემს. ეგეც ხომ იცის, ვისი არტილერია სჯობია. გარწმუნებთ, რომ რუსის არტილერია არაფერში არ დაუვარდება იაპონელებისას. ვერც დამშევით დაიჩნებენ პორტ-არტურს: საკვები, თუ სამხედრო სურსათი ერთ წელიწადს ეყოფა მეციხოვნე ჯარს; იმდენი სურსათი აქვთ დამზადებული, რომ იქნება რუსებმა უფრო ჩქარა უკუ-აქციონ იაპონელები, ვიდრე იაპონელებმა ციხე აიღონ. პორტ-არტურში ჯარიც გაცილებით მეტია, ვიდრე გაზეთებში სწერენ“... („ნ.“).

„ნ. ფრ.“ სამხედრო თანამშრომელი სწერს: იაპონელები უსათუოდ ეცდებიან პორტ-არტურის აღებას. ყველა ჰკითხულობს, მალე მოახერხებენ ამ საქმეს, თუ ვერაო. ამის გამოცნობა მეტად ძნელია. ეს იმაზე ჰკიდია, როგორაა გამაგრებული პორტ-არტური, რამდენი ჯარი ჰყავთ იქა, ან როგორ მოიქცევიან და რას იზამენ იაპონელები; უბრალო შემთხვევასა და ბედსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ხოლმე. მაგრამ იმის თქმა კი ეხლავე შეიძლება, რომ პორტ-არტურის აღება ძლიერ გასჭირდება. იაპონელებმა პორტ-არტურის გზაზე ცინჯოუს ვიწრო ყელი უნდა გაიარონ. ამ ვიწრო ყელის დაჭერა მხოლოდ ფლოტის დახმარებით შეიძლება. მაგრამ რუსებს ტალიენვანის ბუხტაში ნაღმები აქვთ ჩაწყობილი, ბუხტის ნაპირას დიდი ზარბაზნები უწყვიათ და მთელ ყელზე ჯარი უყენიათ, ასე რომ ფლოტს დახმარების გაწევა გაუჭირდება. ცინჯოუს ყელზე ბრძოლა დიდ ხანს გასტანს, ვინ იცის, იქნება მრავალმა კვირამაც გასტანოს (ცინჯოუს აღებამდეა დაწერილი). თუ იაპონელები როგორმე ფლოტის დახმარებით ამ ყელზე გავლასა და დალნის აღებას მოახერხებენ და დალნიში გამაგრდებიან, მაშინ საქმე სხვანაირად დატრიალდება. ცინჯოუს ყელი იაპონელების ხელში იქნება და რუსები ჩრდილოეთიდან პორტ-არტურს ვეღარ მიეშველებიან. იაპონელები პორტ-არტურისაკენ წავლენ და გზა და გზა კიდევ მრავალი ბრძოლა მოუხდებათ რუსებთან. როცა ბოლოს რუსის ჯარს პორტ-არტურის ციხეში შეამწყვდევენ, მაშინ ნამდვილად ალყას შემოარტყმენ პორტ-არტურს და საალყე სიმაგრეებს ააშენებენ. პორტ-არტურის ციხეს ხმელეთიდან 20 კილომეტრი სიგძე აქვს; ციხის აღმოსავლეთი მხარე მეტად მაგარია, რადგან წინ განიერი გაშლილი ველი უდევს. ჩინელებს ციხის დასავლეთი და ჩრდილოეთი მხარე სუსტად ჰქონდათ გამაგრებული, მაგრამ რუსები, ალბად, ამ ორ მხარესაც ძლიერ გაამაგრებდნენ. („ნ.“).

საფრანგეთის მთავარ შტაბის აფიცერს უთქვამს: თუ იაპონელები როგორმე პორტ-არტურის გარშემო სიმაღლეებს დაიჭერენ, მერე შეუძლიანთ, ციხეცა და ნავთ-სადგურიც ფურთხით აავსონო. („რ. ლ.“).

იაპონელები ირწმუნებიან, ჩვენი ჯარი უსათუოდ იერიშით აიღებს პორტ-არტურს, გინდა ამ იერიშის დროს დიდი ხალხიც გასწყდესო. („რ. ვ.“).

15 მაისს იაპონიის ჯარის მოწინავე რაზმები 12 მილის მანძილზე მიუახლოვდნენ პორტ-არტურს. („რ. ლ.“).

პარიზში შეუტყვიათ, რუსის დიდი რაზმი გენერალ კელერის უფროსობით პორტ-არტურის საშველად მიდისო. („რ. ვ.“)

პორტ-არტურიდან ლიაოიანში უმავთულო ტელეგრაფით დღესაც ჰგზავნიან დეპეშებს, მაგრამ რუსის ჯარის მთავარი შტაბი ჰფიქრობს, იაპონელები გზაში იჭერენ ამ დეპეშებს, სცვლიან და მერე ისე ჰგზავნიან ლიაოიანშიო. („რ. ვ.“).

ბრძოლა ცინჯოუსთან. გერმანულ გაზეთებს ატყობინებენ: რუსებს მეტად მაგარი პოზიცია ეჭირათ გორებზე და მეტად კარგადა და სამხედრო ხელოვნების თანახმადაც ჰქონდათ გამაგრებული; ათგან დიდი მძიმე ზარბაზნები ედგათ, ზარბაზნების გარშემო ეკლიანი მავთული და თხრილები ჰქონდათ შემოვლებული. 13 მაისს გათენებისას იაპონელებმა პატარა სიმაღლე კიუჩაუ დაიჭირეს და რუსებს ზარბაზანი დაუშინეს, მაგრამ რუსები არ დაიძრნენ თავიანთ პოზიციიდან. ნაშუადღევის 3 საათზე იაპონელები თოფებით ხელში პირ-და-პირ იერიშით წავიდნენ, რუსის ყუმბარა და ტყვია მუსრს ავლებდათ, მაგრამ იაპონელები ახალ-ახალ ჯარს ჰგზავნიდნენ და ბოლოს საღამოს 7 საათზე პოზიცია დაიჭირეს. რუსებმა ნანგუანლინისაკენ დაიხიეს. იაპონელები თან გაჰყვნენ და 14 მაისს ნანგუანლინიც დაიჭირეს. („რ. ვ.“).

ცინჯოუსთან ბრძოლის დროს, მეტადრე ნანგუანლინთან იაპონელებმაც და რუსებმაც დიდი უმაგალითო გმირობა გამოიჩინეს. იაპონელები მეტად თავგანწირულად მიდიო-

ქ. სიღნაღში,
ზეთ „ცნობის ფურცლის“ ნომრები
ყოველ დღე იყიდება სერგო მიხეილის ძე
ამირალოვის მაღაზიაში.

ტფილისის ქალაქის
გამგეობა
ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ უმაღლესის ნებართვით გამგეობაში გაიხსნა ხელის მოწერა შემოწირულებათა შესაგროვებლად, რათა შემოწირულის ფულით ტფილისში ძეგლი დაედგას ღვთივ განსვენებულს დიდ მთავრინას ოლგა თეოდორეს ასულს. (ნ. 3—2)

ვერაზე, ოლგინის ქუჩის ბოლოში იყიდება ნაწილ-ნაწილად მიწა კარგის პირობებით. მსურველთ დაწვრილებით ცნობები შეუძლიანთ გაიგონ: სასახლის ქუჩაზე მ. გ. გულასპოვთან და ოლგინის ქუჩაზე № 18 რ. დ. ფორაქოვთან. (10—5)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დილით:
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11—12 საათამდე.
მ. ტ. მუღნი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.
ა. ი. ბალაჯრიშვილი.—ბავშვებისა. 9—10 ს.
არ. მ. ხოზოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.
მ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველ დღე.
ექ. ქალ მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამში ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
ლ. მ. მ., ონიანი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.
ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.
საღამოთი:
მ. მ. ხოზოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.
სამკურნალოში ჰხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაქტერიოსკოპიული გამოკვლევანი.
სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.
(წლ.) ტელეფონი № 274.

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ჟორდანიის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
(კანისა და ვენერიული)
დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123. (თგ.—0—87)

კბილის ექიმი
ი. პ. ახალშენიშვილი
(ელისბედის ქუჩა, № 88).
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე. ხოლო კვირა-უქმეებით 9—1-მდე. და საღამოობით 5—7-მდე.

ქთაისში
კბილის ექიმი
დავით ს. რიჟინაშვილი
იღებს დილით 9—2 საათ. საღამოს 5—7 საათ. პუშკინის ქუჩა, გოკიელოვის სახლი. (30—253—32)

ქუთაისში
ექიმი ბ. დ. ნასარიძე
იღებს შინაგანი და ნერვების სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7 საათამდე რისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა. (20—7)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12—3 საათ., საღ. 6—7 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. ქუთაის ქუჩა, № 24 სახლი ვარნაძისა.

ბავშვების ექიმი
ა. ი. ბალარჯიშვილი
მიიღებს ავადმყოფ ბავშვებს ყოველ დღე დილით 10—12 ს. მიხეილის პროსპექტი ს. № 115 ნემეცკის კირკის გვერდზე. (30—178—13)

დნენ იერიშით რუსის პოზიციებზე, სიკვდილს სულ არაფრად არ აგდებდნენ, რუსებიც მედგრად უხვდებოდნენ, მაგრამ ბოლოს იფიქრეს, ვაი თუ იაპონელებმა წრე შემოგვავლონ და გზა შეგვიკრანო და უკან დაიხიეს. რუსებმა რკინის გზის ყველა სადგური ააფეთქეს. („რ. ს.").

ინგლისურ გაზეთებს ატყობინებენ: იაპონელებმა ჯერ ცინჯოუს სამხრეთით მაღალი გორები დაიჭირეს, არტილერია მოხერხებულ ადგილს დააყენეს და მხოლოდ ამის შემდეგ მიიტანეს რუსებზე იერიში. („ბ. ვ.").

გენერალმა ოკუმ მოახსენა იაპონიის მთავარ შტაბს: 14 მაისს ნანგუანლინი დავიჭირეთ და მტერი პორტ-არტურისაკენ განვდევნეთ. რუსებმა გზა-და-გზა დალნის ჩრდილოეთ-დასავლეთით სადგური სანშინლიპუ დასწვეს. 13 მაისს ბრძოლის ველზე 500 მოკლული რუსი ვიპოვეთ. ჩვენ 3500-მდე მოგვიკლეს და დაგვიჭრეს.(„რ. ლ.").

ერთ იაპონელ ოფიცერს უთქვამს: 13 მაისს ცინჯოუსთან ბრძოლის დროს რუსებს ფორტებზე (სიმაგრეებზე) დიდი მძიმე ზარბაზნებიც ეწყოთო. („რ. ს.").

„რუსი"-ის სამხედრო თანამშრომელი სწერს: თუ იაპონელებმა მართლა ნამდვილად აიღეს ცინჯოუ, ეხლა გენ. სტესელის რაზმმა პორტ-არტურის ციხე უნდა დაიცვას. თუ რუსის ჯარი პორტ-არტურის საშველად წავა, იაპონელები ცინჯოუში დაუხვდებიან და პორტ-არტურისაკენ არ გაუშვებენ. ცინჯოუს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა და მეტად კარგადაც იყო გამაგრებულიო.

კაპიტან ხიროზეს ძეგლი. ტოკიოში მალე ძეგლს დაუდგამენ პორტ-არტურთან 14 მარტს ბრძოლაში მოკლულ კაპიტან ხიროზეს. მთავრობის მინდობილებით, ძეგლს მექანდაკე მუკაი-კასუიკი ამზადებს. ძეგლზე დაწერილი იქნება: „რუსეთ-იაპონიის ომის პირველ გმირს". კაპიტან ხიროზეს მთელი იაპონია იცნობდა, როგორც გამოცდილ მეზღვაურსა და კარგ პოეტს; იმის ლექსები ეხლა მშვენივრად გამოსცეს და მეტად იაფად ჰყიდიან, რომ ხალხში გავრცელდეს. თავგანწირულ კაპიტნის ლექსებს ხალხი დიდის ხალისით ჰყიდულობს. („ნ.").

იაპონიის პირველ მინისტრის ნათქვამი: იაპონიის პირველ მინისტრს კაცურას საუბრის დროს უთქვამს ერთის ცნობილ კანადელ მისიონერისათვის: ამ ჟამად ბევრსა ჰყვირიან „ყვითელ საფრთხეზე"; უნდათ, რომ ამ ყვირილით ევროპიელებს იაპონელები შეაძულონ. ეს ლაპარაკი სამწუხაროა, მაგრამ არაფერი მნიშვნელობა-კი არა აქვს. იაპონია განათლებისა და სარწმუნოებრივ თავისუფლებისათვის იბრძვის. ამას როგორც იაპონიის პირველი მინისტრი გეუბნევით და არა როგორც კერძო კაცი. ჩვენის იმპერატორის აზრით, მას აქეთ, რაც დასავლეთ ევროპის განათლება მივიღეთ, იაპონია ძლიერ დაუახლოვდა დასავლეთ ევროპის ერებს. შეჰხვდება იაპონიას აღმოსავლეთის მეთაურობა თუ არა,—ჯერ არავინ იცის, მაგრამ თუ როდისმე ესეთი პასუხის-საგები როლი შეჰხვდა, ყველა დარწმუნებული უნდა იყოს, რომ იაპონია ეცდება, მთელი აღმოსავლეთიც იმავ პროგრესისა და განათლების გზაზე დააყენოს, რა გზასაც თითონ ადგა.

ახალი ამბავი

◆ რამდენისამე კაცის მეთაურობით ტფილისში არსდება ახალი ამხანაგობა, რომელმაც უნდა ააშენოს ეგრედ წოდებული **საზოგადო სახლები**. ამხანაგობას აზრადა აქვს შეიძინოს ქალაქში ადგილები და ააშენოს სახლები მრავალის სადგომით, რათა შემდეგ ეს სადგომები გააქირაოს. ამისათვის ამხანაგობა გამართავს საკუთარს ქარხანას აგურის დასამზადებლად, საწყობს ხე-ტყის მასალისას და სხვას. სადგომები მოწყობილი იქნება როგორც უცოლშვილო, ისე ცოლშვილიანთათვის. ყოველ ორს ოთახს ექნება საკუთარი სამზარეულო, აბანო, შესავალი და სხვა. ძირითად თანხად ამხანაგობას იქნება 300,000 მან., რომელიც გაიყოფება 3000 პაიად და თითოეული პაი ეღირება 100 მ. პაის შემძენს ფულის გადახდა შეუძლიან 20 თვის განმავლობაში, ისე რომ თვეში გადაიხადოს 5 მან. ადგილები შეძენილ იქმნება როგორც ქალაქის შუაგულში, ისე განაპირა ადგილებშია. ჯერ-ჯერობით ამხანაგობას განზრახვა აქვს ვერის ხიდს ზემოდ შეიძინოს მაკაროვების ადგილი. პირველი კრება დამაარსებელთ ჰქონდათ 19 მაისს. ამ კრებაზე საქმის ანიციატორები მოელაპარაკნენ მამულების პატრონებს. მრავალი მემამულე ჩაეწერა ამხანაგობაში. ძირითად თანხის შედგენის შემდეგ ამხანაგობას ექნება მეორე კრება გამგეობის წევრთა ამოსარჩევად.

◆ ახალი სააქციონერო საზოგადოება, რომელიც ინჟენერ თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილის მეთაურობით შესდგა, ჰიათურიდან პერევისაში და იქიდან დარკვეთის სადგურამდე და ს. წირქვალიდან ჰიათურამდე ვიწრო ლიანდაგიან **რკინის გზების გასაყვანად** ივნისის შუა რიცხვებიდან შეუდგება ადგილების დაგეგმვას. საზოგადოებას იმედი აქვს, რომ გზის კეთებას შეუდგება შემოდგომიდან.

◆ როგორც პეტერბურგიდან გვატყობინებენ, მთავარი საგეოლოგო კომიტეტი წელს კავკასიის ნავთიან ადგილების **გეოლოგიურად გამოსაკვლევად** ჰგზავნის: კ. ი. ბოგდანოვიჩს—ტფილისის, განჯის და ბაქოს გუბერნიებში, მინერალოგიის მაგისტრს გ. პ. მიხაილოვსკის—თერგის ოლქსა და იმის ახლო-მახლო მდებარე ადგილებში, სამთო ინჟენერს კ. პ. კალიცკის—დაღესტნისა და თერგის ოლქებში, სამთო ინჟენერს დ. ვ. გოლუბიატნიკოვს—დაღესტნის ოლქსა და ბაქოს გუბერნიაში, ხოლო სამთო ინჟენერს პ. ე. ვოლაროვიჩს—ბაქოს გუბერნიაში.

◆ **ყვირილაში არსდება** საურთიერთო სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საზოგადოება. მთავრობამ უკვე დაამტკიცა ამ საზოგადოების წესდება.

◆ როგორც აღნიშნული გვქონდა, **კავკასიის** სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ საზღვარ-გარეთიდან დაიბარა ვაზის საწამლებლად 2000 ფუთი **შაბიამანი** და 1500 **ფუთი გოგირდი**. როგორც საზოგადოების ცნობებიდანა სჩანს, ბათუმიდან წამლით დატვირთული ვაგონები 11 დღეა გამოიგზავნა, მაგრამ საზოგადოებას ჯერაც არ მიუღია. ამ დაგვიანების წყალობით კერძო ვაჭრებმა ფასს აუწიეს და 4 მ. ნაცვლად ფუთს 5 მ. 50 კაპ. ჰყიდიან. საზოგადოების ბიუროსაც დიდ-ძალი ხალხი წყდება წამლისათვის. საზოგადოების საბჭომ გადასწყვიტა, სთხოვოს ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსს, განკარგულება მოახდინოს, რომ საჭიმო მასალა მალე იქმნეს მოტანილი ტფილისში.

◆ 19 მაისს ტრაივაის მეთვალყურე კომისიამ განიხილა და მიიღო უსახელო საზოგადოების წინადადება. საზოგადოება მზადაა **ელექტრონის ტრამვაის შტო** გააგრძელოს ნავთლუღამდე ეხლავე, თუ თვითმმართველობა ნებას დართავს ლიანდაგი მოკირწლოს ისეთისავე მასალით, როგორითაც ამ ქუჩებს ქალაქი მოკირწლავს. ამას გარდა უსახელო საზოგადოების წარმომადგენელი დასთანხმდა კომისიას, ორ-პირი ლიანდაგი გააკეთოს გოგილოს აბანოებიდან საყასპომდე [illegible] თება ერევნის მოედანსა, ვორონცოვის ძეგლთან, ორთაჭალაში და სათივე მოედანთან.

◆ **საქართველოს ეგზარხოსი** დღეს, 21 მაისს, გაემგზავრება სოფ. ოლგინსკაიაში (ტფილისის მაზრა) ახლად აშენებულ ეკკლესიის საკურთხებლად.

◆ წელს ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებელში სწავლა დაამთავრა 30 ქალმა. ქართველი 18-ია: ამირაჯიბი მარგარიტა, ალიბეგოვი ოლგა, ბაქრაძე ეკატერინა, ვახანია ო[illegible]მპიადა, ვარდანაშვილი ნინო, გაბაშვილი თამარ გლა[illegible] ნადეჟდა, გიორგობიანი მარიამ, იოსელიანი ალათია, იოსელიანი ეკატერინე, კოპლაძე ნატალია, გამყრელიძე იულია, კვალიაშვილი ნინ[illegible]ძე ნინო, შენგელია თამარ, წულუკიძე [illegible]ვა დარია, ლოლობერიძე თამარ.

◆ ამ [illegible]ინად ტფილისის ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ადგილობრივ მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ მიეცეს ხაზინიდან 1762 მან. ეს ფული, როგორც საერობო გადასახადი, დარჩენილია ვალად იმ შენობებზე, რომელიც ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს ხელშია. გუშინ საგუბერნიო გამგეობამ აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ, **ფინანსთა სამინისტროს** განმარტებით, ამ შენობებს ვერ გაეწერება საერობო გადასახადიო.

◆ გუშინ წინ, 19 მაისს, ღამის 9 საათზე ტფილისში **უეცრად სეტყვა მოვიდა**. მართალია, სეტყვა ხანგრძლივი არა ყოფილა, მაგრამ აღსანიშნავია ის, რომ მთელის ამ მაისის განმავლობაში ამინდი რამდენჯერმე იცვლება დღეში. დილით რომ მზეა, შუადღისას წვიმას წამოუშვენს, მერე კიდევ მზეა და საღამოს ხომ აუცილებლად წვიმა მოდის. თუ ასე გაგრძელდა, მთელი ნათესობა ამოლპება და ეს-ღა აკლია ჩვენს ქვეყანას.

◆ ტფილისის საბაღოსნო სასწავლებელში ეგზამენები დაიწყება დღეს, 21 მაისს, და დასრულდება 8 ივნისს. სპეციალურ საგნებში მოსწავლეთ ეგზამენი ექმნებათ აგვისტოს ბოლო რიცხვებში.

◆ რედაქციამ მიიღო შემდეგი ახალი წიგნები: 1. „ლანდი", ლექსები გიორგი გვაზავასი, ფასი 50 კაპ. 2. „დალატი", თავ. სუმბათაშვილისა, სომხური თარგმანი, ფასი 50 კაპ.

◆ ბორჩალოს მაზრაში ამ თვეში შემდეგი ამბები მომხდარა: 1. სოფ. ეკატერინოფელდის მცხოვრები ერისტავე ნანემახერი ხანჯლით მუცელში დაუჭრია ვიღაც უცნობ თათარს; 2. წყალდიდობის გამომდინარე დებედაჩაიმ წაიღო რამდენიმე ბოსელი და 10 სული მსხვილ-ფეხა საქონელი; 3. სოფ. ეარანცოვკაში ვალი-მულლა-ირვან-ოღლის მძიმედ დაუჭრია მარცხენა გვერდში კარა-ბაირამ-ოღლი, თითონ ამის შემდეგ გაქცეულა თავის ხაზეინის საბალში და თავი სამოუხრჩვია; 4. სოფ. კებალოს მცხოვრებნი, რიცხვით ექვსი კაცი, თავს დასხმიან ამ სოფლისავე მცხოვრებს ვასილ ისმაილ-ოღლის გასაძარცვავად და კეტები ისე უცემიათ, რომ ისმაილ-ოღლი იქვე მომკვდარა; 5. სოფ. დლეიხის მცხოვრებნი თამარ ახვლედიანი (6—7 წლისა) და ალექსი ხარატოვი მდინარე დლეიხში გასვლის დროს დამხრჩვალან; პირველის გვამი უპოვიათ, ხოლო მეორისა ვერა.

ტფ. საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრება

20 მაისი

კრებამ გუშინდელი სხდომაც ერთის საკითხის განხილვას მოანდომა: გადაკეთდეს თუ არა ბანკის ზედამხედველი კომიტეტი?

ფელეტონი

იმერლის წერილები

წერილი მესამე

გუშინ-წინ ვკარი ჩემს შეშპაბარს დეზი და ერთს საათში ფეხკა მოვადინე ქუთეისში. ორშაბათის გაცდენა ძალიან შემეზარა, ორშაბათი იყო, თელი კვირე წამიხდება თქვა ვიფიქრე, მარა მაინც წამხდარი არაა...

იმერეთის ჭინჭრულმა გაზაფხულმა თავისებურად მეიქნია კუდი და საძაგელი დღეები დადგა... ქარი, ბუქი, სიცივე, თოში და ჟანდაბა. შენი მტერი მომწყვარა და მომსპარა, ჩვენ კვაწარახიანი ლობიო მოგვესპო საგაისოთ თუ ასე ქნა, ტყემალს ვინ ჩივა, სხვა ხილსაც არ დააყრის ხეირს.

ჩემს ორ კაკალ თვალს არ უნახავს იმდენი დიაკონი და პრიჩეტნიკი, რაც ახლა ქუთაისში ვნახე.

მარა თურმე მოვტყუვდი.—დიაკვნობასა და პრიჩეტნიკობაზე ესენი ისე შორს არიან, რავარც აქედან და აპონია, ის წყეული, ფსხრიკი აპონია, უშველებელს რუსეთს რო შეებრძოლა...

ჰო, ჩვედი ქუთეისს-თქვა. ჩვედი, გევიხედე—ეს ჩალეკურ-დივერ-ჩასატევრებულები რო იყვენ, ყველა გაშლეპილები დადიან. ვიკითხე—საფეცქნესო პირველი მარტიდან. მეც ქე მეკიდა ბაბუეის სტული ერთი ძველი ყამა.—არიქა, უშველე, თვარა აგალდეტენო—მითხრეს. შამევიხსენი მაშინვე, მივაბარე ჟაბულოს და გამევისეირნე ბაზრისკენ. სულში ვიყავი მოწმეთ დაბარებული, ჯერ ადრე იყო და გევიარ-გამევიარ-თქვა, ვიკითხავ, გევიგებ-თქვა.

ერთობ გლახა ყურებ ჩამოურიდები არიან. ეს ხულები მაინც, აღარ იციან, სადა წევიდან. აქამდი ზოგს ლეკურზე ქონდა ჩამოდებული ჩესტიანათ, ვის სატევარზე, რომელს დივერზე, და ახლა, გაკოტრებულ სოვდაგრებივით, ხელები ვის ჯიბეში ჩოუწყვია, ზოგს უკან დოუკრეფია და ან ხელ-გული დაუმჭყვრევია და დადიან თავჩაქინდრულები...

ოო, ბრე თქვენს საქმეს, აბა რავა გინდოდათ!? გუშინ-წინ რო მე აქანა, გულვარდთან წაიკოკოლას ვუყურე—მეგონა, ერთი ხუთასი ცხენოსანი შეიარაღებული ლეკი დეგვენძგვლა თავზე-თქვა. ის კი არა, გევიხედე და ორს ღვინით შეპასინკებულ ძმა ბიჭებს ამეედოთ ლესკურები და უტევდენ ერთმანეთს. ტყული რო არ ვთქვა, თელი ნახევარი საათი იყო მასთანა ამბავი, რომე ჩოლოყის ოშმიდაც არ მოვსტრებივარ მეორეს უზართ კივილი იყო ქალების, ბღავილი კაცების, შეთქლეშა და შამოთქლეშა.

კაცი პატრონი არ გაჩნდა და რო დაშვიდდა ყოლიფერი და დაჭრილები სააქიმოთ წეიყვანეს ზოგი იქით, ზოგი აქეთ, მერე მევიდა ერთი მახარა და ყველას გვახარა, რომე წადით, წადით, გეიფანტეთ, თავის მოყრა აკრძალულია ამდენი ხალხისო... მე დალოცვილოო—უთხრეს, თავმოურილი და გულ-შამოურილი წახანა ვიყავით და სად იყავითო?..

ჰო და ამისთანები აღარ იქნება აწი. მუშტუკუნი ვისაც გივარგა, უბაყუნეთ ერთმანეთს „სიცოცხლის წყაროში" და „ედემში" რო გამებრუშებით. ეს მალე მოგიმუშდებათ და ტყვიით და სხვა იარაღით ჭრილობას, ხშირად უბედურობაც რო არ მოსდევდეს—ხარჯი მოუვება ბევრი; თქვენ-კი იმდენი დახარჯვის კუდი აღარა გაქვთ, აღარა გაქვთ, ბიძია, და ქე დარჩებით სხეულით დასახიჩრებულები. კაკალი გული მიკვდება, რო შევხედავ ამ დევივით, ალმასივით ყმაწვილებს—ზოგს ყური აქ ჩამოთლილი, ზოგს ყბა გაჩეხილი, თავის კოსრო დასერილი, ცალი ხელი გაფუჩებული, და რამდენი ასია მერე ამისთანა. რომელ ყარსის აღების დროს, ან ციხისძირზე მეუდიათ ეს ჭრილობა? არსად, გარდა ვარიჩკას დუქნისა, ან სხვა სამიკიტნოებისა ბრძოლა და შეტაკებ არ ჰქონებიათ მათ...

—მაგ ყველა კაი, ბატონო ჯიბილა—მითხრა ერთმა ახალმა გაპრიჩეტნიკებულმა, როცა ეს ჩემი აზრები გოუზიარე—მარა მე რო ჩამომხსნეს, კაცს არაფერს ვერჩოდი, ქე ვიყავი ჩემთვის, ჩემის არც ძალ-ღონის იმედი მაქ, არც მუშტუკუნის, როგორც თქვენ ბძანეთ, და ის იარაღი რო მეკიდა, პატარას ქე მერიდებოდა ჩემზე ღონიერი, ღმერთი არ გოუწყრეს, ქე არ მჩხუტოსო. ახლა წამევიდა, მზდურა მუშტი, ან სილა და ამაკოტრიალა. ან კიდო, რამდენი ბოროტი გამოვა, რამე იარაღი ქე ექნება აგერ დამალული ჯიბეში, ან საცვეთში. მოდი და გოუმკლავდი იმას შენ.

—მაგისთვის, ბოშო, კი გვყავს პატრონი; მართლა უოველდთვის ისე კი არ დეიგვიანებენ, გუშინ-წინ რო აქანა დეემართათ, გულვარდთან და ქალაქის ბანკში, ან კიდო გოკიელიოს მაღაზიას რო დეეცენ. რა უყოთ, ხან მუუსტრებენ, ხან ვერა. რაკი ჩამოგხსნეს, ბიძია, ყველას უნდა ჩამოგხსნან, თვარა, შენ რო ღალბათი ხარ, სუსტი, შენი იარაღიც შენზე ღონიერის იქნება. ამოგშლეჯს იმ ხანჯალს და შენ თითონ გშლეპს შენსავე იარაღს. ან და რას უჩუხჩურებ იმ შენზე ღონიერს, ნუ შეეტორღიალდები. ბოროტს სულ ნუ წეეკარები და ქე იქნები შენთვის პატიოსნათ. მარა აქანა პატიოსანი ვერ იქნები ჩემო, ბაბუა, რას უყურებ ამ ქუთეისში, მამა ჩემს დაადგა ნათელი, წადი სახლში, ორი კვალი მიწა თუ კიდო გადარჩა იმ შენ ნეტარ ხსენებულს, განსვენებულს იარაღს, მიდი, აქანა „გასართობში" ნარდის კოტრიალსა და კვარამიასთან გუფთაკატლეტების ჭამას, წადი და ორი ძირი ვენახი რო გასხლა დღეში და ორი ხარდანი მუუსო, ის უფრო სასარგებლოც იქნება და პატიოსნურიც. მიაჩერდი ამ შავათა ურიას, რაღას დოუგირავებ, რო გაფუცქნილი ხარ, ნდობა ეფიუ—ბიძია, ნიატუ და ისევეს იქონა, შენს ოჯახში რო ღვინო თუ არ გექნეს, წყალი დალიო და სუფი და სუკა თუ ვერ იშოვო, კაი ლამაზ ლობიოში ამოუტაბუცუნო კეცის მჭადი—ის გერჩიოს-თქვა, გეუ[illegible] მე შენ... ვაი, მაშინ გავწყდე სულიან-ხორციანათ, ქუთაისს მე სათოფეთ წევეკარო, რო ხანდახან ასე საქმისთვის არ ჩამომაძუნძულებდენ. რა ჯობია ახლა, ყმაწვილო, ჩემ აივანზე გადმოჯდომას და გადახედ-გადმოხედვას, გული გაგინათლდება... აპა, იუ ნახავ ქალაქის ადგილას იმისთანა მოხუცებულს, გუშინ-წინ რო მევიდა ჩემთან. ტყული რო არ ვთქვა, იქნება ასე ჩვიდმეტი-თვრამეტი წლის, კოპიტის ნერგები მოხოვა, მივეცი. ჩვენდა საქარში და დილიდან საღამომდის უჩხიკინა-უკირკიტა და მეეთხარა სამი ძირი. რაი გინდოდა, მაქ-თქვა—რო ვიკითხე—მითხრა—სახლს უნდა შამოურკოთ, ქარი ხვდებაო. გეიგე? იყანიკას საზრუნავი ქე-კი არევინ რჩება უკან—არც ცოლი, არც შვილი... პირადათ თავისთვის ზრუნავს. ის უნდა მესტროს კიდო, რომ ამ ორი წლის კოპიტის ნერგებმა საქრულად არგოს [illegible] ქოხს.. ამფერი თვისება აქ, ბოშო, ს[illegible] ცხოვრებას. უოველ დღე ამ მუშაობასა და ბაჯაში რო ხარ, რო უყურებ ამ შენ ნაჭირიოფლებს—სიკვდილი არ გაგონდება, კაი ჭკვაზე ხელს გიწყობს და ღარიბი, მარა მაგითრში მარგებელი ლუკმა. მე, ყმაწვილო კაცს მევინდე და შენ ბუღქის პურიც კუჭს გტკენს. მოხუცებულები კია არა, აქანა ახალგაზრდებიც იმას იძახით—დღეს ვართ, ხვალ აღარ ვიქნებითო,

ამ საკითხის გამო რწმუნებულთ წარედგინა შარშანდელ კრებაზე არჩეულ განსაკუთრებულ კომისიის მოხსენება, რომელიც სამ მუხლიდან შესდგება. კომისია, რომლის წევრებად იყვნენ თავ. ა. ზ. ჩოლოყაშვილი, ა. თ. ფრიდონოვი და ფ. ი. ამირაღოვი, წინადადებას იძლევა. 1) ზედამხედველ კომიტეტის წევრთა რიცხვს სამი კაცი გამოაკლდეს. ზედამხედველი კომიტეტი, როგორც ტფ. საკრედიტო საზოგადოებასა, ისე ხერსონის საერობო ბანკში, ხუთის წევრისაგან შესდგებაო. 2) კომიტეტის ორი წევრი დაესწრება გამგეობის ყველა სხდომებს და მათ ნება აქვთ მოსთხოვონ გამგეობას ყოველგვარი ცნობა და განმარტება. თუ კომიტეტის ერთ-ერთი წევრი დაატყობს, რომ გამგეობის რომელიმე დადგენილება ბანკისთვის საზარალოა, მას შეუძლია მოითხოვოს ამ დადგენილების აღსრულების შეჩერება იმ დრომდე, სანამ დადგენილებას მთელი ზედამხედველი კომიტეტი არ განიხილავსო. 3) ზედამხედველ კომიტეტს, გარდა იმ საქმეებისა, რომელიც აღნიშნულია წესდების მე-79 §-ში, მიენიჭოს კიდევ უფლება: ა) შეამციროს გასაცემ სესხის რაოდენობა, თუ კომიტეტის აზრით გამგეობისაგან განსაზღვრული სესხი არ შეეფერება გირაოს ღირებულობას; ბ) თვალყური ადევნოს, რომ გასასყიდი მამულები წესიერად იყიდებოდეს საჯაროდ. ეს უფლებანი მინიჭებული აქვს როგორც ტფ. საკრედიტო საზოგადოებასა და სხვა საქალაქო საკრედიტო საზოგადოებათ, ისე ხერსონის საადგილ-მამულო ბანკსაცაო.

კომისიის ეს მოხსენება, როგორც წესდება მოითხოვს, ჯერ წარედგინა ბანკის გამგეობასა და ზედამხედველ კომიტეტს. გამგეობას იმის გამო დაუდგენია: რადგან კომისიას არ უნებებია თავის მოხსენების დასაბუთება, გამგეობას არ შეუძლია მისი დაწვრილებით განხილვა; ამიტომ გამგეობა დასკვნის მხოლოდ, რომ ლიტონი წინადადებანი, რომელნიც კომისიას წარმოუდგენია, ბანკისათვის სასარგებლონი არ იქნებიან. ზედამხედველი კომიტეტი თავისის მხრით ურჩევს რწმუნებულთ, უარჰყონ კომისიის წინადადებანი.

ასეთი უცნაური მოხსენება და დასკვნანი წარედგინა კრებას. არც კომისიას, არც ბანკის ორგანოებს თავს არ უდვიათ საქმის განხილვა, დასაბუთება, კრებისათვის საჭირო მასალის წარდგენა. კრებას-კი სთხოვენ მსჯავრის დადებას! რაღა საკვირველია, რომ რწმუნებულებმა ვერ შესძლეს საკითხის გადაწყვეტა ერთ სხდომაზე და შემდეგ დღისათვის გადასდეს?!.

კამათის დროს გამოირკვა, რომ, კომისიის აზრით, ზედამხედველ კომიტეტის გადაკეთება საჭიროა ბანკის საქმეებზე ფაქტიურ კონტროლის დასაწესებლად. თუ გამგეობის სხდომებზე ყოველთვის იქნებიან კომიტეტის წევრები, რომელთ უფლება ექნებათ გამგეობის დადგენილებათა აღსრულების შეჩერებისა, მაშინ კომიტეტის კონტროლი უფრო ნამდვილი იქნება, უფრო საქმიანი და უფრო შესძლებს ბანკის საქმეებს წესიერი მიმდინარეობა მისცეს. უმთავრესად სესხის გაცემის საქმეში იქნება სასარგებლო ასეთი კონტროლიო, რადგან კომიტეტს შეძლება ეძლევა შეამოწმოს დაგირავება და ამის მიხედვით გააცემინოს ბანკს სესხიო.

გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის წევრები სასარგებლოდ არ სთვლიან კომიტეტის ასეთს რეორგანიზაციას. მათის სიტყვით, კომიტეტს დღესაც საკმაო საკონტროლო უფლება აქვს; გარდა ამისა, გამგეობის სხდომებზე მონაწილეობა, გამგეობის დადგენილებათა შეჩერების უფლება, დაფასების გასინჯვა და სხვა ამგვარი მხოლოდ საქმეების გაჭიანურება იქნება, ბანკს-კი სარგებლობას ვერ მოუტანსო.

კამათი, უკეთა ვსთქვათ, კომისიის წევრის თავ. ა. ზ. ჩოლოყაშვილისა და ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარის უგ. თავ. პ. ა. გრუზინსკის შუა შეჯიბრება—ნაშუადღევის მეოთხე საათამდე გაგრძელდა და საკითხი გადაუწყვეტელი დარჩა.

რუსეთის ქრონიკა

✦ ჩვენს გაზეთში მოხსენებული გვქონდა, რომ კრონშტადტში დაატუსაღეს უცხოელ გემებზე 4 კაცი, რომელნიც იაპონელები ეგონათ. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ყველა დაჭერილნი არც იაპონელები, არც საეჭვო პირები არა ყოფილან და ისინი ისევ გემებზე დააბრუნეს.

✦ სახაზინო რკინის გზების გამგეობა აცხადებს: „შორეულ აღმოსავლეთში ჯარების მოძრაობისა და სასანიტარო მატარებლების გასაძლიერებლად საჭირო გახდა სამივე კლასის 400 ვაგონის გაგზავნა. ყველა ეს ვაგონები ევროპის რუსეთის რკინის გზებს გამოერთვა, რის გამო მოსალოდნელია, რომ ამ რკინის გზებზე სამგზავრო მატარებლებში ვაგონების რიცხვის შემცირების მიზეზით ზოგჯერ შევიწროვებულ იქმნან მგზავრები. ვაცხადებთ ამას, რათა მგზავრებმა რკინის გზების გამგეთ არ დააბრალონ ეს გარემოება“.

✦ წითელ ჯვრის გამგეობამ წინადადებით მიმართა მოსკოვის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის მე-V კურსის სტუდენტებს, თუ მოიპოვებიან თქვენ შორის შორეულ აღმოსავლეთში წასვლის მსურველნიო; თვეში 125 მან. ჯამაგირი მიეცემათ და ამას გარდა დღიური სახარჯო ფული 1 მ. 50 კ. ამ ჟამად სიას ადგენენ იმ სტუდენტებისას, რომლებმაც თანხმობა გამოაცხადეს.

✦ მიმდინარე წლის ენკენისთვეში პეტერბურგში გაიმართება სურათების დიდი გამოფენა, რომელსაც „პატრიოტული გამოფენა“ დაერქმევა. ყველა სურათები შორეულ აღმოსავლეთის ომს შეეხება.

✦ გაზ. „რუს. სლ.“-ს სწერენ მინსკიდან, რომ იქ ამ ბოლო დროს ერთი საინტერესო საქმე გაურჩევია ოლქის სასამართლოს. ადგილობრივ გაზეთის „სევ.-ზაპ.-კრაი“-ს რედაქტორს უჩიოდა აბანოების პატრონი ინჟენერი პლავსკი, ცილი დამწამა, წერილი დასტამბა ჩემ აბანოების შესახებ, „ბინძურად ინახავსო, ტალახით სავსეა მისი აბანოებიო“ და სხვა. საქმის გარჩევის დროს ინჟენერმა პლავსკიმ წარმოადგინა მოწმობა ქ. მინსკის პოლიცეიმეისტერისა, რომელიც ამტკიცებდა, აბანოებში სამაგალითო სისუფთავე და წესიერებააო. ამავე დროს გაზეთის რედაქტორმა წარმოადგინა გუბერნატორის მოწმობა, რომელშიაც აღნიშნული იყო, რომ, გუბერნატორისაგან დანიშნულმა განსაკუთრებულმა კომისიამ დაათვალიერა ინჟენერ პლავსკის აბანოები, აღმოაჩინა იქ საშინელი უსუფთაობა, რომლის გამო ეს აბანოები სნეულების ბუდედ გადაქცეულან. სასამართლომ გაამართლა გაზეთის რედაქტორი.

✦ გაზ. „სარატოვ. ლისტ.“-ი იუწყება, რომ ქ. სერდობსკში განუსამართლებიათ ეგრედ წოდებული „პატრიოტული მანიფესტანტები“, რომელთაც შორეულ აღმოსავლეთში მომხდარ ამბების გამო მოუხდენიათ მანიფესტაცია ქალაქში. ნაშუაღამევს კარგად ნავახშმევ-შექეიფიანებულნი ქუჩა-ქუჩა დადიოდნენ თურმე, ჰყვიროდნენ და ღრიალებდნენ დილის 5 საათამდეს. 5 საათზე-კი ერთი პოლიციელი მიუახლოვდა იმათ და სთხოვა გაჩუმებულიყვნენ. გალაღებულ „მანიფესტანტებს“ ყურიც არ გაუბერტყნიათ: განრისხებულან, გაულანძღავთ და კინაღამ არ გაულახავთ პოლიციელი. ბოლოს და ბოლოს პოლიციელთა შეერთებულმა რაზმმა შეიპყრო თურმე ქალაქის მყუდროების დამრღვევნი, ოქმი შეუყენა და სასამართლოში მისცა, რომელმაც 5 მან.—1 მანათამდე ჯარიმა გადაუწყვიტა ყველას.

სასამართლო

უბედურება რკინის გზაზე

გუშინ სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე ამიერკავკასიის რკინის გზის ხელოსნის კონსტანტინე სახურიასა, მცხეთის სადგურის უფროსის თანაშემწის ოქროპირ ჯავახიშვილისა და რკინის გზის მე-6 ნაწილის უფროსის თანაშემწის თედორე ნაგელისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ დაუდევრობა და გაუფრთხილებლობა სამსახურის დროს. 1899 წელს, 17 ნოემბერს, მცხეთიდან გორისაკენ მიდიოდა სამხედრო მატარებელი № 21. ძეგვის ხიდზე ორთქმავალი მტკვარში გადავარდა და დაიმტვრა რამდენიმე ვაგონი. მოკვდა ორი კაცი—მემანქანე გალუბენკო და იმისი თანაშემწე რქოცი, ხოლო დასახიჩრდა რკინის გზის დარაჯი პავლე უაძე. გამოძიებით გამორკვეულა, რომ სახურიას, რომელსაც დავალებული ჰქონია ძეგვის ხიდის შეკეთება, არ დაუყენებია დარაჯი და არ გაუკეთებია სანიშნებელი წითელი ფარნები, რათა ამით ეცნობებინა მიმავალ მატარებლისათვის, რომ გზა კეთდება და ფრთხილად წამოდიო. ასეთი გამაფრთხილებელი ნიშნები სახურიას უნდა გაეკეთებინა ძეგვის ხიდიდან 300 საჟენის მანძილზე. სადგურის უფროს ჯავახიშვილს მიუღია გამაფრთხილებელი დეპეშა გზის ნაწილის უფროსის თანაშემწის ნაგელისაგან, გზა კეთდება თა მემანქანენი გააფრთხილეთო, მაგრამ იმას არა უნიშნებია-რა მემანქანე გალუბენკოსათვის. გზის მე-6 ნაწილის უფროსის თანაშემწეს ნაგელს, რომელიც ხელმძღვანელად ყოფილა გზის კეთების დროს, ყური არ უგდია და არ დაუვალებია სახურიასათვის, სიფრთხილით ემუშავებინა მუშები და დაეცვა ყველა წესი, შემოღებული ასეთ შემთხვევებისათვის. ეს საქმე ტფილისის ოლქის სასამართლოს განუხილავს ამას წინად, დამნაშავედ უცვნია ბრალდებულნი და გადაუწყვეტია საპყრობილეში დაპატიმრება სახურიასათვის 1 წლითა და 4 თვით, ნაგელისათვის—8 თვით, ხოლო ჯავახიშვილისათვის—2 თვით. პალატაში სახურიასა და ნაგელს იცავდა ნაფ. ვექილის თანაშემწე გ. ო. გრუზენბერგი, ხოლო ჯავახიშვილს ნაფ. ვექილის თანაშემწე გრ. მახარაძე. პალატამ სამივე ბრალდებული გაამართლა.

თეატრი

ბაქო. ბაქოში შემდგარმა სცენის მოყვარულთა პატარა წრემ, ეტყობა, ბოლო უნდა გაატანოს, რადგანაც ეს რამდენიმე თვეა დანიშნულ მიზანს პირნათლად ემსახურება: იაფ-ფასიან (5 კაპეიკიდან 50 კაპ.) სახალხო წარმოდგენებს სისტემატიურად მართავს. რადგან ჩვენებურმა-ქართველურმა „აპილ-პილების ხანამ“ უკვე გაიარა და ამ წრეს მოქმედების ხალისი, თუ არ ემატება, არ აკლდება, საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს, ხელმოკლე ხალხისთვის, აზრიანი გასართობი ჯერ კარგა ხანს არ შეფერხდება. ერთი ამგვარი სახალხო წარმოდგენა გაიმართა 17 მაისს, ქ-ნ ანდრონიკაშვილის მონაწილეობით რკინის გზის დეპოს შენობაში. წარმოდგენილ იქმნა ავქ. ცაგარლის დრამა „მათიკო“. ამ ჯერათ აღარ შევუდგებით ამ პიესაში ყველა მონაწილეთა თამაშის განხილვას, მით უმეტეს, რომ მოგეხსენებათ სცენის მოყვარულთა „პრეტენზიები“: რეცენზენტისაგან მხოლოდ ხოტბა-შესხმას მოელიან, წინააღმდეგ შემთხვევაში, უკეთუ რამეგვარ ნაკლულევანებაზედ მიუთითეთ,—წყევლა-კრულვას ვიღა სჩივის,—ერთ ტყვის მანძილზედ ვეღარ მიაკარებთ ამ საქმეს. ამიტომაც, ვიმეორებთ, ჯერ-ჯერობით მოვიხსენიებთ მხოლოდ ზოგიერთა თამაშს. ქ-ნმა ანდრონიკაშვილმა ჩვენი მოლოდინი სავსებით ვერ გაამართლა და თვის უნარისა და გამოცდილების მიხედვით, მკრთალად შეასრულა მათიკოს როლი, ამის მიზეზ-კი, სხვათა შორის, მგონი, ისიც უნდა ყოფილიყო, რომ როლის ცოდნაში სუსტობდა. ბ.ნი შველიძე, როგორც ყოველთვის, სინიდისიერად და ხალისით მოჰკიდებოდა საქმეს და ამიტომაც იმისმა „მარილიანმა“ თამაშმა ოსეფას როლში ბევრი გულიანათ აცინა. უნდა აღინიშნოს ეგრეთვე ბუნებრივი, გადუჭარბებელი თამაში ბ-ნ მაჭავარიანისა ჩვენებურ თავად უშტვინაძის როლში. არა უშავდა-რა ეგრეთვე ბ-ნ სამსონიძეს ბრძენაძის როლში, რომ ბევრ ადგილას თავისს კომიკური მდგომარეობაც-კი ტრაგიკულის სიტყვებით და მიხვრა-მოხვრით არ გამოეხატა. პირველობა-კი ამ წარმოდგენაში უნდა დაეთმოს ბ-ნ თალაკვაძეს—გაბოს როლში. ამისმა მოფიქრებულმა, ნიჭიერმა თამაშმა ამდენად გაიტაცა მაყურებელნი, მომეტებულად მეხუთე მოქმედებაში, რომ ბევრი ცრემლებსაც-კი იწმენდდა. ბ-ნ თალაკვაძეს მეორეთ ვხედავთ (პირველად არსენას როლში) და იმდენად მოეწონა ყველას, რომ გულწრფელად ვურჩევთ ჩვენს დრამატიულ საზოგადოებას ყურადღება მიაქციოს ამ ნიჭიერ ყმაწვილ-კაცს. დანარჩენი ამსრულებელნი საერთო ანსამბლს ხელს უწყობდნენ. დეპოს სათეატრო შენობა დამსწრე საზოგადოებით სავსე იყო და კმაყოფილი და მადლობელი დაიშალა. ქ-ნ ანდრონიკაშვილს ძვირფასი ჩაის სერვიზი მიართვეს.

გი—ახ—ელი.

და ნამეტურ უსაქმურები. რას გვხართ, არც ერთს ადამიანს ფერა არა გაქვს, არც ხორცი. ნუ ჩიავდებით, ნუ ტყუილა უსაქმურათ აქანა. ქალაქი რა დაწესებულა, თქვენთვის, უსაქმურებისათვის კი არ დოუწესებიათ, აქ, ბოშო, ჩინოვნიკობაა ბინადარი და მასინძელი, ქალაქის მუშა და მოხელე ხალხი და გაჭრები, და მე და შენ, თუ სუდში გვაქნეს რამე საქმე, გზდღუზოთ მარკა პროშენიას, თუ სავაჭრო დაგვჭირდეს, წევივაჭროთ და გსდურთოთ ისევ ჩვენს ქოხში.. ნუ უყურ, კერიას ნუ გვაცივებთ, კერიას... არა, ერთის მხრით კაი საქმე ქე მოახდინეთ თქვენ—უ ბრაკონით რო ატრიალებდით ხანჯლებს. ჩამოგხედეს ახლა არა—რადას იზამენ ჩვენებური მჭედლები, ყველა რო ხანჯლებს უკაკუნებდენ. თოხის და წალდის გამკეთებელს ვეღარ ვშოულობდით სოფელში და გამოსაპირავადაც ქუთაისში მიგქონდა... დევიდუპეთო, ერთმა ხანჯლის ოსტატმა მითხრა—სამი მამა-შვილი ვიყვით, ოთხი, ხუთი თუმნის ხანჯალს ვასადებდით თვეში... ესენი და ამისთანები ბევრი სამუშაო იარაღის ჭედვას მოკიდებენ ხელს აწი, აბა რას იზამენ....

უვაი! დევიდუპე, ამ თქვენთან ბუტურში, ამოაკვდოს ღმერთმა, სუდში ქე დამაგვიანდა, მგონია....

გევიქეცი....

გეზდის სუდში ვარ მოწმეთ. ძმა უჩივა ძმას, აბედა მაჭამაო და მოწმეთ დამასახელა, სტრაფს მევერიდე, თვარა, ღმერთი გამიწყრეს, თუ ვიცოდე, რაცხა აბედა აჭამა, რაც თვითონ არ მითხრა აბედა ნაჭამევმა. თუ ფიცი არ შემხვდა ქე ვიტყვი, რაც მითხრა და კაი სადილსაც გევკრავ ჟაბულის დუქანში—ორშაბათი გიცდებოდეს, კუჭი მაინც გიძღებოდესო—მოგეხსენებათ—და თუ დამავიწყდეს—იმისი-კი რა მოგახსენო.

ეს ძმები რო მუდამ კინკლავში არიან და მათის საჩვრებით სუდის არხივი გატენილია, ეს ყველამ იცის, თელმა ოკრიბამ.

მერე რა კარგად იყვნ. მათ ოჯახს ოკრიბაში ტყუილა მეორე ვერ წეეტოლებოდა. სწორედ კაი განძიანი ოჯახი იყო. მარა ამ საჩივრებმა ისე წეიყვანა მათი საქმე, რო დღეს დღეობით სულს დაფავენ. ოთხი ძმა იყო, მამის სიცოცხლეში გეიყვენ. ნაწამები მშობლები მიწას მიაბარეს, დღეს ცალ-ცალკე არიან სულ, მარა ერთი მეორეს ჩხიკინს არ შლიან. ამას წინეთ ერთმა მოუკლა მეორე ღორი, ღორის პატრონმა უჩივლა და დაადვა 8 მანათი. ეიდო ლისტი და მიადგა ძმას პოქოულით, ოუწერა ქოთნები, საკეცე, დოქები, როდინი, ჩაფები, კეცები და ამისთანები სულ. იმის ძმის ოჯახი არც ისე გამოჩიკნილი იყო, რვა მანათის საღირალი რამე ერთი ნიქვთი ვერ მეეძებნა, მარა ლისტის პატრონმა განგებ, გულის გასახეთქათ, რო უფრო გესისვებია გულზე, მიტომ გადმოუნგრია ეს ხარა-ხურა, ოჯახში უსაჭიროესი რამეები. შვიდ-მანათის და ოთხ-აბაზზე ეყიდა ტორგი.—„მეიცა, მეიცა-ო,—დეიძახა, მაშინ თურმე მოვალე ძმამ—ერთი აბაზი გაკლია არა?.. აპა, ერთ აბაზში ეს წეიღე, შე გვაჭუტა და დაფეხვილო“-ო! და ფქვილიან კოდიდან ამეიღო საცერი და ზე ჩამოაფხრიწა ძმას თავზე. საცერი დასტუკვით გაუკეთა კისერზე.

—ბატონო პრისტავო! არაა ეს აბედა?—სთქვა ლისტის პატრონმა, როცა ფქვილით გაბუნგლული თმა და წვერი გეირეკა და საცერიც გადიძრო.—გთხოვთ პროტოკოლი.... მე შენ განჩვენებ, ვინცხაა გვაჭუტა და დაფეხვილი, თუ ეს ულვაში მაბია....

—შეგირცხვა მა გაგინგლული ულვაში, შე დაბარჯულო შენე....

ამ საქმეზე ვარ დღეს სუდში. ის იყო მივედი და დაგვიძახეს კიდეც, მარა, მადლობა ღმერთს, საქმე ისე წევიდა, ფიცც ამცდა და მოწმობაც, თვითან ძმები დოუპირდაპირდენ. წადგა ერთი.

—მე, ბატონო სუდია, არც არა მოწმეებს გასახელებ ჩემის მხრით და არც მაგის მოწმეებს გავიცებ და ვდებულობ. საცერი ჩამოვაცვი სწორეთ კისერზე, და რაც შეეხება იმას, რომე მაგას დოუძახე გვაჭუტა, დაფეხვილო და დაბარჯულო-თქვა, და ეს აბედად მიაჩნია და მიჩივის—აგერ გაარონიეთ თქვენი ლამაზი თვალის წინ და დეინახვთ, თუ კონსტანტალე დათაშქელიანივით ჩეიარს და ჩამეიარს ამ სუდის დარბაზში, ტყული ვუთხარი თუ? ბრუტიანს რო ბრუტიანი დოუძახო და კოჭლს კოჭლი—ეს თუ აბედაა—ყველაფერი აბედა ყოფილა, აპა, რავა!...

—არა, ბატონო სუდია, მე თუ კოჭლი ვარ, ბუნებით კოჭლი კი არა ვარ, დაბადებიდან კი არ დამყოლია—მერე წამიხდა ეს ცალი ფეხი....

—შენი ფეხების მეტრიჩესკს არვინ თხოულობს აქანა, არა რიიცხა დაკოჭლდი, სულ ერთია, კოჭლი ხარ, კოჭლი, კოჭლი, კოჭლი, გეიარე, თუ ბიჭი ხარ, ამ ბატონი სუდის წინ... გამოჩნდება ჩემი სიმართლე, და, რაც შეეხება იმას, რომე საცერი ჩამოვაფხრიწე კისერზე—ამის მინაოთი ვარ, მარა შენთან კი არა, ბატონ სუდთან ვითხოვ ამის ბოდიშს და დამადვას ამისთვის სტრაფი, თუ კალონით მერგებოდეს, თვარა შენთვის ნეტაი ის ფქვილით სავსე კოდიც ჩამომემხო თავზე—გული არ დამიშლიდა.

ატყდა სიცილი, სუდიამაც ძალიან მოუჭირა, თვარა კიდმე იმასაც გეეცინა.

—სირცხვილია, ყმაწვილებო—სთქვა სუდიამ, გადით მეორე ოთახში, წადით, მორიგდით, პავლე, სერაფიონ, მოარიგეთ ესენი....

შვა კაცები ბეირივით გაზდა და შევარიგეთ დიდის დავიდარაბის შემდეგ, მარა, არ ვიცი, რამდენ ხანს გაძლებენ უსუდოთ. მე კი კარგად გამოვსისინდი შერიგების პურით და გვარიანათაც გამევიბრუშე კაი ღვინით.

წამოსვლისას ჩემი ყამა კიდმე დამამიწყდა. ჩვენ სოფლად ახლა უიარაღოთ გავლა საფათარაკოა. არც გაგონილა წრევანდლისდონი ბრაზიანი ძაღლი. ათამდი კი მოკლეს ჩვენში. სხვა საქონელიც ბევრი დაკბინა, ნამეტურ ღორები, და დეიხოცენ. რაცხა იღბალია, ადამიანის სული გადარჩენილია ჯერ, არვინ დოუკბენია, ისე ასვრილი ბევრია, და ამის ექიმბაშებიც ბლომათაა ჩვენში.

თბილ-ქალაქში თურმე უცრიან დაკბენილ ადამიანს და უებარი საშვალებაა. აწი და რა გაჭირდა, ვაყო, ჩვენს ქუთეისშიც ოუცრან. რავა ყველაფერში უბედურ ვარსკლავზე გაჩენილი შეიქნა ეს იმერეთი, ოი, დიდება შენთვის, უფალო! სასიკეთო რამე რო გაჩდება ქვეყანაზე, ჩვენ მაშინ კავხდებით მისი ღირსი, როცა მთელს მილეთს მეიარს. მანამდი ე სული ამოგვძვრა და... ეს იმას ჰგავს, მოდა მოკვდაო და ფლავიო... რაცხაო, რო იტყვიან.

რავა ჩვენი უბედურობა და უიღბლობა არაა, რო რევიშვილები და მისთანები კიდე კისრულობენ ბრაზით ასვრილების წამლობას და მისთანა უხიაკს რაცხას ასმევენ დაკბენილს რო, უკაცრავათ პასუხია და ბოდიშს ვიხდი ამ მოხსენებაზე, ნაფლეთ-ნაფლეთად, ღეკერტ-ღეკერტ ასროლიებს ავადმყოფს სისხლს ტანიდან. ესო—დეკვებიაო!... მურვან ყრუობაა, აპა, რა ჯარხანაა აცრა გვინდა, აააცრააა!.

მარა მარტვა ბრაზისაგან კი არა, რამდენი ჭირისა და სნებისაგან ჩვენ აცრა გვინდა, ამას ქე ვინ დეითვლის, ბაბუა.

და კაცი პატრონი, იოხტურ ჯანუმ—თათრები რო იტყვიან....

ჯიბილა

წერილები

სამეგრელო. აქეთ მთელი ერთი თვე ნაალდგომევს ხეირიანი წვიმა არ მოსულა. დრო გამოშვებით ხმელი ზენა ქარიც ჰქროდა. ამის გამო მიწა ძალზე გახმა და გლეხების მუშაობა საგრძნობლად შეფერხდა. მხოლოდ ამ ბოლო დროს ეღირსნენ წვიმას. სამეგრელოში, როგორც სხვაგან ჩვენში, მიწის მუშაობა ადამის დროის სამუშაო იარაღით სწარმოებს. მამა-პაპის ნაანდერძევ სახნისს ჩაბღაუჭებიან და ხვნა-თესვაში არავითარი გაუმჯობესება არ შეაქვთ; ამასთან სიმინდის მეტს თითქმის არას სთესვენ. ხალხში საჭირო ცნობების გასავრცელებლად ორიოდე სოფელში არსებობს სასწავლებელი აგრონომიულის განყოფილებით. მაგრამ ჯერ-ჯერობით ნაყოფი მცირეა. სამეგრელო სიმინდის ჩრჩილის ბუდეა და დიდი ზარალიც მოაქვს. აგერ რამდენიმე წელიწადია ზაფხულის პირველ თვიდან იჩენს ხოლმე თავს ეს რაღაც „ჭირია“ და პატრონებს რაც სიმინდი აბადიათ, მთლათ პეპლად გამოდის. წლევანდელმა გვალვამ საუცხოვოდ შეუწყო ხელი სოფლელების დღესასწაულებს. კვირას არ გაუვლია ისე, რომ სადმე ახლო მდებარე სოფელში დღესასწაული და „ჯარიანო'ა“ არ ყოფილიყოს. ღარიბი მეოჯახე სირცხვილნამუსში ვარდება, ურიის ვალს იღებს და ისე ემზადება დღესასწაულისთვის. დანიშნულ დღეს მოყვრები და ნაცნობები წირვაზე იკრიბებიან და მასპინძელი იძულებულია მიიპატიჟოს, ოღონდ კი ძველი ჩვეულება არ შელახოს. ზოგ მათგანს მიწის ბაჟი და სხვა-და-სხვა გადასახადის ფული არა აქვს შეტანილი, დღეს თუ ხვალ უღელში ხარს გამოუხსნიან და ამ შემთხვევისთვის-კი უკანასკნელი გროშიც არ ეზოგება.

ტეხურის-პირელი

ს. შინდისი (ქართლი). ს. შინდისი ითვლება ცენტრად იმ თერთმეტის სოფლისა, რომელნიც შინდისთან ერთად შეადგენენ შინდისის საზოგადოებას. აქ არის საზოგადოების სამმართველო, ერთ კლასიანი სამრევლო სკოლა და თავად-აზნაურთა მომხმარებელი დუქანი. სკოლის საქმე ვერ მიდის რიგიანად უყურადღებობის გამო. წარსულ ზაფხულს სასოფლო ყრილობაზე ნაცვლად წინანდელის მამასახლისისა, რომელმაც თავის უსაქმურობით, დაუდევრობით, თუ სხვა მიზეზით პიწასთან გაასწორა მთელი საზოგადოება,—ერთხმად ამორჩეულ იქმნა ს. შინდისში მცხოვრები ვანო საბანაძე, რომელმაც დაგვიმტკიცა კიდეც, რომ კარგს მამასახლისს ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლიან სოფლისთვის. გაუვალი გზები შეაკეთა, გამართა ბოგირები, ამოაშრო გზებში ტბორეები, რამდენიმე წლის აღუსრულებელი საქმეები სასამართლოსი სისრულეში მოიყვანა და სხვ.

შინდისივე ითვლება მომრიგებელ-შუამავლის ადგილ-სამყოფად, თუმცა ეხლანდელი ჩვენი შუამავალი თავის სოფელში სცხოვრობს და საქმეების დაგვარად თვეში რამდენჯერმე გვეწვევა ხოლმე. ამ ჟამად მამასახლისს და ბ-ნ შუამავალს წინ უძევთ ორი დიდი საქმე, რომელიც რაც მალე მოვა სისრულეში, მით უფრო სასარგებლო იქნება მკვიდრთა კეთილ დღეობისთვის. პირველი საქმე გახლავთ მირაბის თანამდებობის გაუქმება, ვინაიდან მირაბი სრულებით საჭირო არ არის შინდისის საზოგადოებისთვის. მირაბს იქ ირჩევენ ხოლმე, სადაც წყლის ნაკლებობაა და სადაც ერთი დავი-დარაბა, ჩხუბი და ხშირად კაცის კვლაც ხდება სარწყავ წყლის გამო. შინდისის საზოგადოების სოფლები თითქმის ყველა დიდ ლიახვის პირადაა გაშენებული, იმისთანა სიუხვეა წყლისა, რომ ზარალიც-კი მოაქვს. კაცის კვლა-კი არა, უბრალო ჩხუბიც-კი არავის ახსოვს წყლის თაობაზე. თუმცა ეს ასეა, მაგრამ ჩვენს სოფლებს ძალათ მაცხოვრებლად მირაბი მაინცა ჰყავთ და იმის ჯამაგირსაც იხდიან. იმისთანა წიოკობა იდგა შარშან ზაფხულს მთელს შინდისში მირაბის ჯამაგირის აკრების დროს, გეგონებოდათ მტერი შემოსევიაო.

მეორე საქმე გახლავთ ზრუნვა იმაზე, რომ ს. შინდისი და გარშემო მდებარე სოფლები ისევ ცხინვალის მომრიგებელ სასამართლოს დაუქვემდებარონ. შარშან-წინ რაღაცა გაუგებრობისა გამო ეს სოფლები, მდებარენი ცხინვალიდან 2-ისა, 3-სა და 5-ის ვერსის სიშორეზე, ცხინვალის სასამართლოს ჩამოაშორეს და გორის სასამართლოს (30 ვერსის სიშორეზე) მიაწერეს. გორი მდ. ლიახვის მარცხნივა ძევს და ხსენებული სოფლები-კი მარჯვნივ. მცხოვრებნი ხშირად წყალ-დიდობისა და ან დიდის ზამთარ-ავდრისა გამო მთელის თვეობით მოწყვეტილნი არიან ხოლმე გორზე. ამისთანა დროს გორის სასამართლოში გამოსაცხადებლად იძულებულნი არიან ჯერ ცხინვალს ავიდნენ, რომ ლიახვს ასცდნენ, და იქიდან გორს გასწიონ, 40 ვერსი გაიარონ, ან და სასამართლოში წასვლა დასთმონ და ზარალი არჩიონ. რაღა ბევრი გავაგრძელო, მკვიდრნი მეტად შეწუხებულნი არიან ამ უხერხულ განკარგულებით, რაიცა, მგონი, კარგად მოეხსენება თვით ბ-ნ შუამავალსაც.

ს. შინდელი.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშა სააგენტოსაგან)

20 მაისი

ვორონეჟი. 18 მაისს გაემგზავრა შორეულ აღმოსავლეთში ვორონეჟის საგუბერნიო ერობის სამკურნალო-სასურსათო რაზმი. პარაკლისს დაესწრნენ: გუბერნატორი, საერობო ხმოსნები, ქალაქის გამგეობა და საერობო მოხელეები. საერობო გამგეობის თავმჯდომარემ გამოსალმების დროს შემდეგი სიტყვა უთხრა მიმავალთ: „დიდი მანძილი ვერ გასწყვეტს ჩვენ შორის კავშირს. ვორონეჟის ერობა არ დაგტოვებთ თქვენ და თქვენ ოჯახებს უმწეოდ“. საღამოს 8 საათზე მოვიდა რაზმი კურსკის ერობისა. 10 საათზე კურსკისა და ვორონეჟის რაზმები საერთო მატარებლით წავიდნენ შორეულ აღმოსავლეთში.

ლონდონი. („რეიტ. სააგ.“). ტოკიოდან იუწყებიან, რომ ცზინჯოუსთან მომხდარ ბრძოლაში მოუკლავთ გენერალ ნოგის შვილი.

20 მაისი

მოსკოვი. მთავრობისა, სენატორ ტაგანცევისა და გამასწორებელ დაწესებულებათა წარმომადგენლების თანადასწრებით დაიწყო რუკავიშნიკოვის თავ-შესაფარში მეექვსე კრება ამ წარმომადგენლებისა.

პეტროზავოდსკი. საგუბერნიო ბჭობამ ის აზრი გამოსთქვა, რომ იმ საგნებიდან, რომელთა განხილვაც გლეხთა ერილობებს შეუძლიანთ, გამოცალკევებულ უნდა იქმნას საკითხები მიწათ-მფლობელობის შესახებ. ამ საკითხების გადასაწყვეტად უნდა დაწესდეს განსაკუთრებული საადგილ-მამულო ერილობები. ამას გარდა ვოლოსტში უნდა ჩაირიცხნენ ის მიწის პატრონნი, რომელნიც წინად ხარჯის გამღებ წოდებას ეკუთვნოდნენ.

სტამბოლი. მოვიდა აბისინიის დიდი დესპანი, რომელიც შესდგება გენერლისა და რამდენისამე აბისინელ მღვდლისაგან. დესპანი მიდის იერუსალიმს. 12 ყუთი საჩუქარი ჩამოუტანეს სულთანს ნეგუსისაგან. რუსის საელჩოს შუამავლობით აბისინიის მისსია პირდაპირ მსოფლიო პატრიარქთან იქონიებს საქმეს. ამ ფაქტიდან ის გამოჰყავთ, რომ ამას აბისინიისა და მართლმადიდებელ ეკკლესიათა შეთანხმება მოჰყვებაო.

მოსკოვი. საერო განათლების სამინისტროს მმართველმა ინახულა ლიცეი ცესარევიჩ ნიკოლოზისა. ხვალ გენერალ გლაზოვს წარუდგებიან უნივერსიტეტის პროფესორები და სასწავლებელთა უფროსები.

სტამბოლი. აბისინიის დედოფალი ტაიტუ აპირობს ენკენისთვეში იერუსალიმს სალოცავად წასვლას და თან წაიყვანს დიდ ამალას. ეს პირველი შემთხვევაა, რომ აბისინიის სამეფო ოჯახის წევრი მიდის იერუსალიმს.

ორიოლი. მცენსკის მაზრაში დაიწვა ათანასიევის მეორე ხარისხის სკოლა. ცეცხლში დაიღუპა ორი მასწავლებელი და 15 წლის ქალი, მასწავლებლის ძმის წული.

ბუდაპეშტი. ავსტრიის დელეგაციამ მიიღო ბიუჯეტი ბოსნიისა და ჰერცოგოვინის და საზღვაო ბიუჯეტი, როგორც საგანგებო კრედიტი—75 მილლიონი კრონი. ყველა ორატორმა განსაკუთრებით აღნიშნა ფლოტის განვითარების საჭიროება.

ორენბურგი დაიწყო გუბერნატორის თავმჯდომარეობით საგუბერნიო საბჭოს სხდომები საკლეხო ახალ კანონმდებლობის პროექტის გადასასინჯავად. მონაწილეობას იღებს 50 კაცი.

ტანჟერი. მოვიდა ამერიკის სამი სამხედრო გემი.

ჰამბურგი. გემი „ახენი“ წავიდა ჯარით სამხრეთ დასავლეთ აფრიკის გერმანიის კოლონიებში.

გმუნდენი. მოვიდა დანიის მეფე.

ბუდაპეშტი. როცა ავსტრიის დელეგაცია საზღვაო ბიუჯეტის შესახებ ბჭობდა, ფლოტის უფროსმა გამოაცხადა, რომ მოთხოვნილი კრედიტი ფლოტის საჩქარო რეორგანიზაციას უნდა მოხმარდესო, რადგან ავსტრიის ჯავშნიანი და ნაღმიანი გემები ახლანდელ დროის შესაფერად არ არიან გამართულნიო; ახალი კრედიტის შემწეობით 1½ წლის განმავლობაში შეიძლება იმდენი ჯავშნიანი გემი აშენდეს, რომელთა აშენებას სხვა დროს 11 წელიწადი დასჭირდებოდაო. საჭიროა აგრეთვე ნავთსადგურების დაცვა, რადგან რუსეთ იაპონიის ომმა დაამტკიცა, რა საფრთხე მოელისთ მარჯვე მტრის უეცარ იერიშის გამო იმ გემებს, რომელნიც დაუცველ ნავთსადგურებში დგანან.

ტეფლისი. ქალაქის გამგეობის წარმომადგენლებმა შეატყობინეს სამხედრო სამინისტროს, რომ მზად არიან უსასყიდლოდ დაუთმონ ბინა და ვანნებით სარგებლობა 10 დაჭრილ რუსის აფიცერს საზაფხულო სეზონის განმავლობაში.

ხარკოვი. სწრაფ მატარებელში, რომელიც სევასტოპოლში მიდიოდა, უეცრად გარდაიცვალა საიმპერატორო თეატრების მსახიობი ქალი ელისაბედ ლევკეევისა.

ლონდონი. ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების შესახებ კანონ-პროექტის მეორედ წაკითხვის დროს ბევრმა ორატორმა მიიღო კამათში მონაწილეობა. ყველამ თანაგრძნობა გამოაცხადა.

სოფია. შეასრულეს თავის მისსია ადრიანოპოლის ვილაიეტის გარდახვეწილთა დელეგატებმა, რომელთაც მიანდეს წარედგინათ დიდ სახელმწიფოთა სადიპლომატო აგენტებისათვის მემორანდუმი ადრიანოპოლის ვილაიეტის მცხოვრებთა ყოფა ცხოვრების გაუმჯობესების შესახებ.— ოფიციალურის ცნობით, უარყოფილია ის ხმა, თითქო დაბრუნებულ გარდახვეწილთ უსამართლოდ ექცეოდნენ; პირიქით, ოსმალეთის მოხელენი იმათ ყოველგვარ შეღავათს აძლევენ.—მეამბოხეთა რაზმი გამოჩნდა პიჩინასთან, მაგრამ გაფანტულ იქმნა. საბუთები აქვთ იმის შესახებ, რომ ეს რაზმი სერბიაშია შემდგარი. სერბიის მთავრობა უარჰყოფს ამ ფაქტს და პირობას სდებს, მომავალში სასტიკად დავიცავთ საზღვარსაო.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

განცხადებანი



СѢДЕЛЬН
СПЕЦІЯЛЬН
Безъ конкуренціи
Продаются всевозможн. сѣдла
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სოპრანის ახლოს. (წ.—176—21)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, [illegible] განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.
დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

ჩემის ვაჭრობის მოსპობის გამო
ამა წლის 22 აპრილიდან ვნიშნავ უკანასკნელ გაყიდვას, საფაბრიკო ფასებზე დაბლა, ჩემს საძებელო მაღაზიაში, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ, ხაზინის გვერდით.
გადაჭრილი ფასებია დანიშნული.
ნარდათ მყიდველებს ვთხოვ პირდაპირ მე მომმართონ.
(60—189—15) პატივისცემით ბ. გ. ბერიევი

ფასი 25 კაპ. დაიბეჭდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში ფასი 25 კაპ.
„ღ ა ლ ა ტ ი“
ისტორიული ლეგენდა 5 მოქ. **თავ. ა. ი. სუმბათაშვილისა**, თარგ. კ. მესხის-მიერ.
ვინც 50 ეგზემპლიარზე მეტს იყიდის—წიგნი დაეთმობა 18 კაპ. ადრესი: Грузинское Издательское товарищество. (10—9)



ფეხსაცმელი
ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,
მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,
აგრეთვე მსწრაფლ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში.
ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО
С.ПЕТЕРБУРГЪ
გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ტყავის საქონელი
რუსეთსა და საზღვარ-გარედ დამზადებული, მრავლად არის
სავაჭრო სახლის
„ლ ე ო პ ო ლ დ ნ ე ი შ ე ლ ე რ“-ის საწყობში.
ტელეფონი № 346 ერევნის მოედანი. (60—6.—30)

е. Доз. цензурою. 20 Мая 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ისა. Электропеч. Груз. Изд. То—тва.